

# თეატრი და ცხოვრება

სათეატრო და ლიტერატ. ჟურნალი

ფასი 25 კაპ. | იანვრის 2 | 1925 წ. № 1

## დიდება ქართულ თეატრს!

1850 წ. — — 1925 წ.



გ. ერისთავი



ვასო აბაშიძე

ახ. ცაგარელი



ალ. წუწუნავა



ნატო გაბუნია ცაგარლისა | მაკო საფ.-აბაშიძისა



კ. მარჯანიშვილი

ქართული თეატრის აღდგენის 75 წლის თავი

## შინაარსი:


**სახელმძღვანელო:**

მეთაური—იშვიათი ზეიმი.

ის. ვარაზაშვილი—საქმე, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა მოგვარდეს;

**თეატრი:**

ივ. გომართელი—ჩვენი თეატრი.

ბიქტორ თევზაია—ქართული თეატრი პროვინციაში.

ჯაფარ-ფაშა საპატიო დღესასწაული.

მარმარილი—ეროვნულ თეატრისთვის.

გიორგი ჯაბაური—ქართული თეატრის არსებობის 75 წ. თავი და სახალხო თეატრი.

შალვა გომართელი—პროლეტარული თეატრი.

გ. ჯ. წითელი თეატრი.

ბერდო—ქუთაისის თეატრის 1924-25 წ. სეზონი.

სათეატრო მიმოხილვა—ოზურგეთი, ჩოხატაური.

**მუსიკა:**

დ. არაყიშვილი—ორი სიტყვა ქართულ მუსიკალურ მეცნიერ ბ. ზე.

ალი-ოღლი—აღმოსავლური მუსიკა და ქართული თეატრი.

**დრამატურგია:**

ჯვაროსნელი—ქართული რეპერტუარი.

**სიტყვაკაზმული, პოეზია:**

ივ. გომართელი—ჰიუმორი: რეცენზია.

ი. გრიშაშვილი—წერილები ბოთლში.

მარჯან—ვარიაცია.

ბაჩანა—ჩიტის სიმღერა.

**ახალგაზრდათა ნაწერები:**

თამარ ცერი—ორი თარიღი.

შალვა გაგაშვილი—სულის მეგობრებს.

შ. გაჩეჩილაძე—დეკემბრის ღამეში.

**ხალხური მწერლები:**

დ. გურჯანელი დათუკაშვილი—*** (ლექსი).

**ბიოგრაფია, დახასიათება, მოგონებანი:**

სოსო მაჭავარიანი—ვინ არის ბრმა მოხუცი?

ი—ელი—ივ. მჭედლიშვილი.

ს.—სათეატრო მოგონება.

**ბიბლიოგრაფია**

—ჯან-გრი—არ. ჯ. ჯანაშვილი.

X—საჭირო განმარტება.



# მიიღება 1925 წლის ხელის მოწერა

სამხატვრო-სათეატრო-სახელოვნო სურათებიან ჟურნალ

# „თეატრი და ცხოვრება“-ზე

**1910 წ.** **XV** წელიწადი გამოცემისა **XV** **1925 წ.**

## სარედაქციო კოლეგიის პასუხისმგებლობით და საუკეთესო თანამშრომელთა მონაწილეობით

## იუმორისტულ განყოფილებით

**„თეატრი და ცხოვრება“-ს წლიური ხელისმომწერნი მიიღებენ:** ყოველკვირა ჟურნალ **„თეატრი და ცხოვრება“-ს**, სულ 52 № ს წლის განმავლობაში, ხოლო ყოველ სამ თვეში ერთჯერ უფასო პრემიას—წლიწადში ოთხ წიგნს **„ცხოვრების სარკე“** რომელშიაც დაბეჭდილი იქნება სარეპერტუარო კლასიკური და თანამედროვე რჩეული პიესები.

ვისაც ჰსურს მომავალ 1925 წ. განმავლობაში ჟურ. **„თეატრი და ცხოვრება“** და პრემია **„ცხოვრების სარკე“** მიიღოს, იანვრის გასვლამდე უნდა მოაწეროს ხელი, რათა ვიცოდეთ რამდენი წიგნი გამოვცეთ,—საპრემიო კრებული მხოლოდ ხელისმომწერთათვის და ბეჭდება:

## „ცხოვრების სარკე“ ცალკე გასასყიდათ არ გამოვა.

„თეატრი და ცხოვრება“ გაგზავნით, ორივე დამატებით, ეღირება წლიურად—10 მან., **ხელის მოსაწერი** ფული შემოტანა ნაწილ-ნაწილად შეიძლება: ხელის მოწერის დროს—3 მ., აპრილის 1-ისთვის—2 მ., მაისისთვის 1-ისთვის 2 მან., ოქტომბრისთვის 1-ისთვის—3 მან., თითო № 25 კ. **ხელის მოწერა** მიიღება რედაქციაში (ტფილისი, სასახლის ქ. № 5, მეორე სართული,—შესავალი—ძველი ქართული თეატრის (სახალხო კლუბის) მხრივ. მისამართი ფოსტით: ტფილისი, სასახლის ქ. № 5, რედ. „თეატრი და ცხოვრება“—იოსებ იმედაშვილს. რედაქცია ღიაა: დილით 9—3 ს., ნაშუადღევს 5—7 ს.



**პასუხისმგებელი ხელმძღვანელი: სარედაქციო კოლეგია.**

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი.**

# თეატრი და ცხოვრება

1910—1925

წელიწადი XV

№ 1

(358)

ფასი 25 კაპ.

„თეატრი და ცხოვრება“
ყოველკვირეული სურათებიანი ჟურნალი.

რედაქციის მისამართი: ყოფ. ქართული თეატრი—სასახლის ქ. № 5, „ახალ კლუბი“-ს ეზოში.

ფოსტით: ტფილისი, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“, იოსებ იმედაშვილს.

თეატრი, პოეზია, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება. საზოგადოებრივი ცხოვრება.

დაარსდა 1910 წ. | იანვრის 2 | გამოცემა 1925 წ.


## იშვიათი ზეიმი*)

ჩვენი მელპომენე ზეიმობს:

საუკუნის სამი მეოთხედი ქართული სცენის მუშაკთა ნამოღვაწევს გვირგვინს ადგამს.

ხანმოკლეა, მაგრამ გრძელ საუკუნეთა ნამოქმედარზე დიადი და ბრწყინვალე ქართული თეატრის ნაღვაწი.

საჭირო არ არის გავიხსენოთ ის სიდუხჭირე, ოღრო-ჩოღრო, ნარ-ეკლიანი გზა, ბნელ-უკუნეთი, ბეწვის ხიდი, რომელზედაც გამოიარა დღეს დადაფნილმა ქართულმა თეატრმა და მისმა ქურუმმა—ქართველმა მსახიობმა.

რა იყო მისი არსი, მისი მრწამსი,—ამის პასუხს იძლევა ჩვენი ეროვნულ-ხალხოსნური შემეცნება, გათვითცნობიერებული ქართველი მშრომელი ხალხი, ქართველი პროლეტარიატი, ჩვენი საზოგადოებრივი წეობა.

ამაში რავდენადაც დიდი ამაგი მიუძღვის მწერლობას, ათ-კეც მეტი ღვაწლი მიუძღვის ქართულ სცენას.

75 წლის წინად დიდებულთა სასახლეში, უმთავრესად დიდგვაროვანთა უნარით, მათივე ოჯახების გასართობად დაბადებული **სანახაობა**, დღეს უკვე მთელი მშრომელი ხალხის—გლეხებისა და მუშების სასიკეთოდ, სააღმზრდელოდ გარდაიქცა, ამათივე მოწყალეობით იზრდება, მაგრდება და იშვიათად ნახავთ, ცოტად თუ ბევრად, მნიშვნელოვან სოფელს, რომ სცენა არ ჰქონდეს, ზაფხულობით მაინც არ მართავდეს წარმოდგენას...

ხალხი ნელნელა იგებს სასცენო ხელოვნების უმაღლეს დანიშნულებას.

ეგოდენ ძლიერი იყო წარსულში, განვლილ ხანაში ქართული თეატრის მოღვაწეობა.

დღემდე იგი თუ უმთავრესად იდეურობით იყო გატაცებული, ხშირად სხვისი ნასუფრალით მსაზრდოებელი, ამიერიდან იგი უმაღლეს ხელოვნურიც უნდა შეიქმნეს და საკუთარის **რაობით**, საკუთარი სულით ამეტყველდეს.

და შორს აღარ არის ის დრო, როდესაც ჩვენი თეატრი მსოფლიოში ცნობილ თეატრებს—რუსულს, ფრანგულს, ინგლისურს, გერმანულს, იტალიურს, ესპანურს და სხ.—გვერდს ამოუდგება როგორც ნამდვილი ქართული, თავისთავადური ეროვნული თეატრი.

მომავალი მთლიანი თარიღი—ასი წლის თავი (და ჩვენ გვჯერა კიდევ უფრო უახლოესი დრო) ამას დაადასტურებს

დიდება ქართული თეატრის გარდაცვლილ მოღვაწეთა ხსოვნას!

ვაშა მის მხცოვან და ახალგაზრდა ქურუმთ!

გაუმარჯოს ქართულ თეატრს და მის უანგარო ერთგულ მუშაკთ!

გაუმარჯოს საქართველოს მშრომელ ხალხს, რომელიც ამიერიდან საკუთარის ძალ-ღონით ააყვავებს მშობლიურ თეატრს!

გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას თავისუფალ საქართველოში!

**იოსებ იმედაშვილი**

---

*) დღეს ხუთმეტი წელიწადი სრულდება, რაც ჩვენი ჟურნალი გამოდის. ეს დღე ჩვენთვის, დიაღაც, რომ სადღესასწაულოა,- მაგრამ რადგან ამავე დღეს—იანვრის 2-ს—სრულდება ქართული თეატრის 75 წ. თავი, ამიტომ დღევანდელ ნომერს ქართული თეატრის ზეიმს ვუძღვნით, ხოლო ჩვენი ჟურნალის საიუბილეო ნომერს ახლო მომავალში გამოვცემთ. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი თეატრი

უსახლკარო, უბინაო, ღარიბი, ღატაკი ქუჩა-ქუჩა დადიოდა ანთებული ჩირაღდანით ხელში.

სახლში არავინ უშვებდა, ყველა სდევნიდა; მხოლოდ თითო-ოროლა გულშემატკივარი თუ გაუღებდა კარს და თავს შეაფარებინებდა.

სიცივე, წყურვილი, სიშიშვლე, სიცივე მისთვის არასფერი იყო; გაჭირვებას გმირულად უხვდებოდა და მოთმინებით იტანდა: მისი ერთადერთი საზრუნავი იყო, ანთებული ჩირაღდანი ჩაენერგა ხალხის გულში და გაებრწყინებია მისი გონება.

ხალხის მტრები უკან დასდევდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ მას, სდევნიდნენ, ცდილობდნენ იმის ხელში ანთებული ჩირაღდანის ჩაქრობას: იშვიათის სიყვარულითა და თავგანწირვით უვლიდა ის თავის ჩირაღდანს

დადიოდა ქალაქიდან ქალაქად, სოფლიდან სოფლად, ეძებდა თანამგრძნობს, მეგობარს.

ყბად იღებდნენ მას, დასცინოდნენ, მაგრამ ის ვერავინ გასტეხა, ვერ ვერამ ვერ სძლია.

გაიარა ათეულმა წლებმა და აბა შეხედეთ: ის ამაყადა სდგას შვილებითა და შვილიშვილებით გარშემორტყმული.

მთელ ხალხს მოუყრია იმის გარშემო თავი. მეგობართა და მოკეთეთა რიცხვი უამრავია.

ყველას ანთებული ჩირაღდანი უპყრია ხელში.

ჩირაღდნებით არის განათებული ქალაქები, დაბები, სოფლები. სინათლის შუქი ეფინება ყველგან.

— ჩირაღდანი, მოგვეცით ჩირაღდანი! გაისმის დღეს მიყრუებულ სოფლებიდანაც კი.

ვინ არის ის გაუტეხელი და გამარჯვებული?

ქართული თეატრი. არარაობიდან იშვა, უბინაო იყო, ყოველგვარი დაბრკოლება ეღობებოდა წინ, სახლობ ქალს ვერა შოულობდა, რადგანაც ეს სათაკილო ხელობად ითვლებოდა; კერძო ბინაზე იმართებოდა წარმოდგენა ხშირად ურეპეტიციოთ.

მაგრამ თეატრმა სძლია ყოველგვარი დაბრკოლება, გადალახა ყოველგვარი მტერი და ანთებული ჩირაღდანი ხელიდან არ გააგდო, მისი შუქი არავის ჩააქრობია და ხალხის გულში შეიტანა.

თეატრი ჩვენში მარტო ხელოვნება კი არ იყო, ის იყო სკოლა, ტრიბუნა, რომელიც გრძნობას აღვიძებდა, გონებას აახლებდა, გულში ცეცხლს ანთებდა და მომავლის იმედებსა ზრდიდა.

თვითმპყრობელობის მუხრუჭებში სულშეხუთულ ქართულ თეატრში გვესმოდა ზოგჯერ გადაკრული, ზოგჯერ ორაზროვანი, ზოგჯერ თავისუფალი სიტყვა და თავისუფლებას მოწყურებულნი ვეტანებოდით მას.

ქართული თეატრი იყო უდიდესი ტაძარი, რომელშიაც ხელოვნება ბევრჯერ სუსტი იყო, მაგრამ მუდამ ენთო ცეცხლი მშრომელი ხალხის სიყვარულისა.

და ჩვენც მივდიოდით იქ, როგორც ტაძარში, იშვიათის აღფრთოვანებით და გატაცებით ვცქერდით თაყვანს იმის პირველ ქურუმებს.

დღეს, როდესაც მშრომელმა ხალხმა გაიმარჯვა და თვითმპყრობელობის ნანგრევებზე ღირსეულად დღესასწაულობს, ეს გამარჯვება ამავე დროს ქართული თეატრის გამარჯვება არის: ის ალვიძებდა და უყვარდა მშრომელ ხალხს, ის ანთებდა ბრძოლის ცეცხლს და აჰყავდა უმწვერვალებამდე თავისუფლების სიყვარულს.

დიდება და გამარჯვება ქართულ თეატრს!

ივ. გომართელი

# ქართული თეატრი პროვინციაში

(მოგონება)

1898 წლის დიდება ახალ სენაკის მესვეურებმა—მაზრის უფროსმა, ეგრედ წოდებულ დიდის დეპუტატებმა და ადგილობრივმა თავადებმა პეტრე პავლობის დღესასწაული შემოიღეს დღეობად, ხელი უნდა შეეწყო სამეგრელოს ეკონომიური აღორძინებისთვის და მხარის სულიერი გამოცოცხლებისათვის.

რაც შეეხება ვაჭრობა მრეწველობის აყვავებას, ამ მხრივ სამეგრელოს პეტრე-პავლობით დიდი არაფერი შემატებია, გარდა ივნისის სიცხეების გამო ზურაბ ბოლქვაძის ლიმონადის ბლომად გაყიდვისა ადგილობრივი ჩოხოსანი „კავალრები“ თავის „დამებით“ მიადგებოდნენ რომელიმე მოძრავ მაღაზიას და უტყოდნენ: „მოგვეცი ერთი ბოთლი ლიმონადკა და ექვსი სტაკანიო“, თან გადაუხდიდნენ ორ შაურიანს. ამით „დამებიც“ კმაყოფილი იყვნენ და „მრეწველი“ ბოლქვაძეც.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობის აყვავებას, ამისთვის განსაკუთრებით ხელი უნდა შეეწყო „მარულას“—მეგრულ ცხენების ჯიშის გაუმჯობესებით. პირველი დღეობის დოლი გამოიხატა იმაში, რომ ვიღაც ლოლუას თეთრი ცხენი, ძალზედ გამხდარი და მილეული, რომელიც ზუგდიდიდან, თუ ცაიშიდან სხვებთან ერთად მორბოდა, ქვალონში, საკუთარ სოფელში, უკვე ჩამორჩა ამხანაგებს. თითოეულ ცხენს თან მისდევდა 20—30 შეიარაღებული მხედარი. ლოლუას მეტოქეები ჩაფრინდნენ უკვე დამდნარ ცხენს, დაიწყეს სროლა მის გამოსაცოცხლებლად, გზა და გზა ასხამდნენ ცივ წყალს და ბოლოს... კუდზედ დაუწყეს კბენა. ასეთი ხათაბალის შემდეგ ცხენმა მესამე პრიზი მიიღო—და იმავე საღამოს სული განუტევა.

იმავე დღეობაში ადგილობრივ ბუღვრის ერთ კუთხეში ხელ და ხელ ფიცრებისა და ფიცრებისაგან გააშენეს დახურული დარბაზი, სადაც წარმოდგენა უნდა გამართულიყო. მონაწილეობას იღებდნენ, სხვათა შორის, ლ. მესხიშვილი, ნ. ჩხეიძე და სხვები. უნდა დაედგათ „და ძმა“ ამხანაგებმა (ივ. სოსელიამ, ბ. ნორაკიძემ და მე) ბილეთები შევიძინეთ და პირველად ვნახეთ წარმოდგენა. მაშინ ყველანი გატაცებული ვიყავით ყაზბეგის ნაწერებით.

ის იყო ჩვენი სახარება. ჩვენს წარმოდგენაში ყველა მოხელე გირგოლა იყო, ხოლო მოქალაქეები—კობა, ონისიმე, ელიზბარ...

ყაზბეგის შემდეგ „და-ძმამ“ გადასწყვიტა ჩვენი ბედი. არალეგალური წიგნები თვალითაც არ გვინახავს—გრძნობით უკვე არალეგალური გავხდით, სოციალურ ლიტერატურას სრულებით არ ვიცნობდით—გავხდით ოპოზიციონერები. დ. დმა ქართველ მსახიობებმა გააღვივეს ჩვენში სოციალური გრძნობა, შემდეგ ჩაუმქრალი და მარადიული. ივ. სოსელია—ეს პიონერი სამეგრელოს მოძრაობის—კატორღაში გარდაიცვალა. ბ. ნორაკიძე—რაინდი და მამაცი—ტრაგიკულად დაიღუპა. ნუ თუ იტყვიან ჩვენი მსახიობები, რომ იმ დროინდელ სენაკის ახალგაზრდობის გზის ჩვენებაში მათ ბრალი არ უდევთ? მე, ერთი ცოცხლად დარჩენილი მოწმეთაგანი ამ გადატეხისა, საჯაროდ წარვსდგები და ვეტყოდი: მათ გარევოლიუციონერებასა და ბრძოლის გუნებაზე დაყენებაში თქვენ უდიდესი წილი გიდევთ. უდროოდ დაკარგულ მეგობრების მაგიერ გეუბნებით, რომ ეს იყო თქვენი უდიდესი მოღვაწეობა ქართველი ერის წინაშე. პროვინციაში თქვენ შეიტანეთ სული ამბოხების. ამ ამბოხებამ არ მიიღო „და-ძმის“ შინაარსის ელფერი. სამეგრელოს ტყის ფოთლები ახალი ენით ამეტყველდნენ, ბწყემსებმა ახალ ხმაზედ მოიმართეს სალამური, ენგურს დაავიწყდა რუხის ციხის გმირები და ახალ მებრძოლებს უყიოდა.

ფ. ენგელსი სადღაც ამბობს: ისტორიაში მომქმედნი პირნი ერთის გაკეთებას ფიქრობენ, შედეგს სხვას ღებულობენო.

დღეს ვხედავთ, თუ სად მივედით ჯერ-ჯერობით. ზოგიერთი გულგატეხილი პოეტთან ერთად იძახის: „სად არის შოთას საფლავი, წავიდე სატირლადო“. ჩვენ ვიტყვით ქართულ თეატრს ამ ამბოხების მოციქულს: 1905 წლიდან განვლილი გზა თვალწინ გვაძევს, მასზე აშენდება მომავალი ეკლესია კულტურული საქართველოსი, როდესაც მშრომელი ერიც შესძახებს: შეჩერდი ჟამთა სრბოლავ, მშვენიერება ხარ!

ბიქტორ თევზაია.



ივ. კერესელიძე



აკაკი წერეთელი



ანტონ ფურცელაძე



დ. ერისთავი

# საპატიო დღესასწაული

დღეს ქართული თეატრი დღესასწაულობს თავისი არსებობის 75-ლის თავს.

ერთი საუკუნის სამი მეოთხედი ემსახურება ქართული თეატრი ქართველ ერს!

რა გააკეთა—რა გზა განვლო ჩვენმა თეატრმა ამ ხნის განმავლობაში?..

ეს ხანა უნდა გაიყოს ორ პერიოდათ:

თეატრი ძველი—რევოლიუციამდე და

თეატრი ახალი—რევოლიუციის შემდეგ.

ძველი ქართული თეატრი აღმოცენდა ჩვენი ერის უსასტიკეს ეროვნულსა და პოლიტიკურ ძონობის ხანაში..

შავი ბურუსით მოცულ ჩვენი წარსული ცხოვრების მთელს სივრცეზე—მხოლოდ ქართული თეატრი იყო ნუგეში... ჩვენების და იმედის ნაპერწკალი..

აქ, მხოლოდ აქ პოულობდა ქართველი ერის მოღლილი და ტანჯული სული დასვენებას... თავშესაფარს...

ეს იყო ჩვენი სიტყვიერების ტრიბუნა..

აქ იყო დაცული ქართული ენა და მეტყველება—შეურაცყოფისაგან... დაცვისაგან...

მართალია, ჩვენს ძველ თეატრს აკლდა მაღალი, მიღწევანი სათეატრო ხელოვნების ასპარეზზე, მაგრამ, ეს ნაკლოვანება იქნებოდა, ძველი თეატრისათვის მოგვეთხოვა ის—რისი მოცემაც ძველ ეპოქაში მას არ შეეძლო..

უხეში წესწყობილების სალტეებში ჩაჭედილს, მრავალ დაბრკოლებათა სიმძიმის ქვეშ მოქცეულ სათეატრო ხელოვნებას არც შეეძლო გამხდარიყო მხოლოდ მხატვრულ ხელოვნებად...

არა.. ქართული თეატრი იყო ასპარეზი აგიტაციის... უხეში წესწყობილების საწინააღმდეგო პროპაგანდის...

ამაშია ქართული თეატრის უდიდესი ღვაწლი ქართველი ხალხის წინაშე.

ქართულმა თეატრმა ეროვნული მოტივების საშუალებით აღზარდა ჩვენს ერში საპროტესტო იდეალიზაცია... რევოლიუციონური უკმაყოფილება...

ჩვენმა თეატრმა ღირსეულად ზიდა ჩვენი დაჩაგრული ერის მწარე ბედი და პირნათლად მიიტანა თავისი მძიმე ტვირთი რევოლიუციის განთიადამდე!..

დღეს კი, ჩვენს თეატრსაც, ისე როგორც ყოველ სფეროს ჩვენის ცხოვრებისას—დაუდგა ახალი ხანა—ახალი ეპოქა!..

რევოლიუციამ თეატრიც გაანთავისუფლა ხელოვნების შეუზღუდველ ტვირთისაგან..

ჩვენი თეატრიც ნელ-ნელა უბრუნდება თვის წმინდა დანიშნულებას.. მხატვრულ მისწრაფებას...

რევოლიუციის შემდეგ ქართული თეატრი სცილდება თავის ძველ ვიწრო ფარგლებს...

იგი მიილტვის ახალ საკაცობრიო იდეალებისაკენ...

ფართო გზე ოქმედებით!..

თავისუფალი მისწრაფებით!..

მიდის ახალი გზით ახალის ძიებისაკენ!..

ასეთ ეპოქის დასაწყისში იხდის დღეს ქართული თეატრი თავისი არსებობის 75 წლის იუბილეს...

სალამი ქართული თეატრის საპატიო დღესასწაულს!..

ჯაფარ—ფაშა

ეროვნული ბიბლიოთეკა



კ. დ. ყიფიანი



ლადო მესხიშვილი



ეფემია მესხი

# ეროვნულ თეატრისთვის

III

ისტორიული პიესის და მერე „სამშობლოს“ ხსენებაზე ბევრმა შეიძლება სიტყვა გაგვაწყვეტოს: აქ ხომ უმთავრესად პატრიოტული ინსტინქტი და ნაციონალური გრძნობა მუშაობსო. მერე ვინ მოგვიხსენათ, რომ გასაბიაბრუებელია ეს მომენტი, როდესაც მთელი ერი ამით სულდგმულობს? რომელი ხალხის თეატრს შეუძლია ასცდეს ამ ისტორიულ-კოლექტიური გრძნობის გავლენას? მით უფრო რას დაემსგავსება დამონებული ხალხის თეატრი, რომ განთავისუფლდეს სრულიად ამ იდეისაგან? ის მაშინ უსულგულო ლეშად გადაიქცევა.

საკვირველია: ხალხს თეატრს აძლევთ,—და ის კი არ გინდათ, რომ იგი თეატრი მისი ეროვნული თვითარსებობის იდეის მატარებელი გახდეს, მისი ეროვნული მსოფლმხედველობის ამსახველი შეიქნეს; არ გინდათ, რომ ხალხმა თეატრალურათ განიცადოს თავის ისტორიული ვნაობის და რაობის დედა-აზრი, თავის ყოფნა არყოფნის კითხვა ჩვენ გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ: საზოგადოების თეატრში არასფერი ისე არ მოხიბლავს და არ აათრთოლებს, როგორც მისი ერის ცხოვრების რთული დრამის ხელოვნურათ და ნიჭიერად განსახიერება

პატივცემული კოტე მარჯანიშვილი ერთს თავის წერილში („კავკასიონი“ 1—2 „ქართული თეატრის საკითხები“ გვ. 196) ლაპარაკობს „დიდებულ იდეებზე“, რომელნიც ფრთებსასხამენ სცენას ბრწყინვალე და ხალისიანი ფერებით. ამ დიდებულ იდეებს ეკუთვნის, მისი აზრით, „დიადი პრობლემები კაცობრიობისა, პრობლემები სიკვდილ სიცოცხლისა, პიროვნებისა და მასსისა, კლასებისა და ეროვნებისა“. ჩვენც სწორეთ იმ აზრის ვართ, რომ თეატრი შინაარსიანი და იდეიური უნდა იყოს, მასში უნდა ნახულობდეს გამოძახილს ეპოქის უდიდესი პრობლემები. და ვინაიდან **ეროვნების** საკითხი უდიდეს პრობლემათაგანია,—რასაც თვით ავტორიც აღიარებს,—ცხადია არავისთვის გასაოცებელი და მოულოდნელი არ უნდა იყოს, როცა ამ დიდი პრობლემის—ეროვნების იდეას, მის ავსა და კარგს გვითვალისწინებს და გაგვაცნობიერებს თეატრი—სულ ერთია—ისტორიულად თუ თანამედროულად. მით უფრო თუ თეატრი ისეთ ხალხს ეკუთვნის, რომლის არსებობა სიკვდილ სიცოცხლის საკითხად არის გადაქცეული. თეატრმა ყოველი „დიდი პრობლემა“ თავისებურად უნდა გადაჭრას, თავისებურად უნდა გაატაროს ხელოვნების პრიზმაში. ხოლო ეს პრობლემა როგორ იქნება ასახული და დამუშავებული თვით დრამაში, ისტორიული ამბავი იქნება აღებული თუ თანამედროვე,—აგრეთვე როგორ იქნება განსახიერებული იგი სცენაზე,—ყოველივე ეს დრამატურგის ნიჭიერების და თეატრის ხელოვნების და ღირსების საქმეა.

ამიტომ დიდი შეცდომაა იმის კატეგორიული მტკიცება, რომ საზოგადოთ ისტორიული პიესები **არსად და არასოდეს** არ შეიცავს დრამატიულ შემოქმედებას თეატრალური ხელოვნების თვალსაზრისითო,—როგორც ამბობენ ზოგიერთები. ისტორიული პიესაც არის ისტორიული პიესაც. განა ყველა თანამედროული პიესა შეიცავს დრამატიულ შემოქმედებას თეატრალური ხელოვნების თვალსაზრისით? რა თქმა უნდა არა! როგორც ისტორიული პიესა,—ისე ყოველგვარი „დრამატიული შემოქმედება“ მოითხოვს ღრმა ცოდნას ხალხის ისტორიისას და თანამედროვეობისას, დიდს შრომას, დიდს განვითარებას და—**რაც უმთავრესია!** „ღვთივ მიმადლებულ ნიჭს“. აიღეთ და შეადარეთ, მაგალითად, „ღალატი“ რომელიმე სხვა ქართულს თუ გადმოქართულებულს ისტორიულ პიესას,—ვთქვათ, „მტრიალს“,—და დარწმუნდებით, რომ ისტორიულ პიესებში დიდი გარჩევაა სწორედ დრამატიული შემოქმედების და თეატრალური ხელოვნების თვალსაზრისით ეს იქნება იმის პასუხიც, რომ ჩვენ ისტორიულ პიესას რამდენათაც ვიცავთ, იმიტომ სრულებით არ ვიცავთ, რომ ის მხოლოდ ისტორიულია.

რაც შეეხება საკუთრივ „სამშობლოს“, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მიუხედავათ დრამატიულათ მის სისუსტისა—მან უდიდესი როლი ითამაშა ქართული თეა-

ტრის ისტორიაში: შედარებით სუსტი პიესა—„სამშობლო“ სასწაულს ახდენდა მაყურებელთა ფსიქოლოგიაში. და სწორედ ამაშია მისი ისტორიული და თეატრალური გამართლება,—წინააღმდეგ იმ მოკლე აზრისა, რომელსაც აქ იარაღის ჩხარუნის მეტი არაფერი ესმის.

დაუკვირდით იმ საზოგადოებრივ გულისძგერას, რომელიც გამოიწვია თავის დროზე „სამშობლომ“ და მიხვდებით, რომ ქართული თეატრი,—მიუხედავად ჯოჯოხეთური პირობებისა,—არსებობდა და პირნათლად ასრულებდა თავის დიად მოვალეობას, როგორც ქართველი ერის ხელოვნების ტაძარი.

„სამშობლომ“ მოგვცა მშვენიერი საბუთი ჩვენი ჩატეხილი გრძნობების გამოსაჩენად—სწორედ „ხალხოსნური“ „იმედის“ ოთხმოციან წლებში—შემთხვევა მოგვეცა, რომ ქართველებმა რამოდენიმე ხნით ერთად ვიფიქრეთ, ერთად ვიგრძენით არა რომელიმე კერძო კითხვა, არამედ საზოგადო, საყოველთაო“.

„ჩვენ მოწმენი ვიყავით, როგორ ზღვასავით ღელავდა საზოგადოება ამ პიესის წარმოდგენის დროს—სწორედ და ძველი „ივერია“ იმ დროებშივე,—ჩვენ ვგრძნობდით, რომ მან მთელი საზოგადოება ერთის აზრით გაიტაცა, ერთის გრძნობით გამსჭვალა. ჩვენ მაშინ ვიგრძენით სათვალდათვალოთ თეატრის დიდი ძალა, ხელოვნების სიწმინდე და მნიშვნელობა. და მარტო იმაზე ვწუხდით, და დღესაც ვსწუხვართ, რომ ამას კარგად გრძნობენ და უკვე ნაღარასაც სცემენ ისინიც, ვინც აქ მაინც არაფერს შუაში უნდა იყოს“.

გაიხსენეთ: მაშინდელი თვითმპყრობელობის პოლიტიკურმა ცენზურამ კატკოვმა დიდი განცაში ასტეხა ტფილისში „სამშობლოს“ დადგმის გამო: დამალეთ ერთგული ბაირაღები ან ცირკში გადაეცით კლოუნებსო. არასოდეს არ დაავიწყდება ის წმინდა, ამაკეთილშობილებელი აღშფოთება, რომელიც განსაკუთრებული სიძლიერით აღიძრა მაშინ ქართული თეატრის იდეალების დაცვის ნიადაგზე მტარვალობის წინააღმდეგ. ჩვენკა ხალხმა თავის თეატრი კიდევ უფრო შეიყვარა, როგორც სიმბოლო თავის აღდგომის და განკაცების. ეს სხვათა შორის.

**მარმარელი**

## ქართული თეატრის არსებობის 75 წ. თავი და სახალხო თეატრი

დღეს, 1925 წ. იანვრის 2, 75 წ სრულდება ქართული თეატრის დაარსებიდან, ამავე წელს 32 წ. ქართული სახალხო თეატრის დაარსების და 15 წ. ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“-ს გამომცემლობის. პირველის, ე. ი. ქართული თეატრის, დამაარსებელი ქართველი ინტელიგენცია იყო, ხოლო მეორის ქართველი მუშები. ქართული თეატრის მუდმივმა არსებობამ შეაყვარა ხალხს თეატრი, დაუკავშირა ხალხი სცენას და გაჩნდნენ სცენის მოყვარენი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ამ სცენის მოყვარეთა რიცხვში უფრო თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა მუშების ერთმა ჯგუფმა, რომელმაც თავის მოქმედება 1890 წ დაიწყო ოლივაზოვის ქუჩაზე და საჯაროდ 1893 წ. ავჭალის აუდიტორიაში გამოვიდა. აქედან დაარსდა მუდმივი სახალხო თეატრი. ისე რომ სახალხო თეატრი შვილია ქართული თეატრისა. პირველი ემსახურებოდა უფრო მაღალ წრეებს, შექმნილი იყო ქართული დრამატიული საზოგადოება, ხოლო სახალხო თეატრი ტფილისის პროლეტარიატს, მასთან მუდმივი კავშირი ჰქონდა, მუდამ მისი ინტერესების დამცველი იყო. ქართული თეატრის მოღვაწენი, მიუხედავად იმისა, რომ მუდამ მშივრები იყვნენ, მაინც იქ ფასიანი მუშაობა იყო, ხოლო სახალხო თეატრში მუქთი და, პირიქით, თვით მსახიობებს უხდებოდათ თავიანთ ჯიბიდან ხარჯვა ამა თუ იმ საჭიროებისათვის. როგორც პირველს, ისე მეორეს ე. ი. სახალხო თეატრს ჰყავს თავისი მოღვაწენი, რომელთაც უმუშავნიათ უსასყიდლოდ 20 30 და 40 წლები.

ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“ მათ შორის დაიბადა. ამ ორი თეატრის არსებობამ ბუნებრივად მოითხოვა თვით ეს ჟურნალი. მისი რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი ერთი იმ მუშა ზეინკალთაგანია, რომელმაც სხვებთან ერთად, როგორც ზემოთ მოვიხსენიე, საძირკველი ჩაუყარა სახალხო თეატრს ავჭალის აუდიტორიაში. ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“ მ დიდი სამსახური გაუწია ამ ხნის განმავლობაში ორივე თეატრს: მან ადგილი დაუთმო ახალგაზრდა მწერალ პოეტებს, სადაც გადმოფურჩქნა მრავალი ნიჭი ამ ჟურნალმა მისცა ტფილისის და პროვინციის სცენის მოყვარეთა აუარებელი პიესები. აქ იბეჭდება რეცენზიები და თეატრზე ესა თუ ის შეხედულება.

ამ ჟურნალის გამოცემა დიდი მოვლენაა და საქმეც, მით უმეტეს, რომ მისი საძირკვლის ჩამყრელი კერძო პირია, ისიც ღარიბ ღატაკი (და არა რომელიმე ორგანიზაცია), რომელმაც შესძლო ამ ჟურნალის გაძღოლა 15 წ. განმავლობაში.

**მუშა მსახიობი გიორგი ჯაბაური.**

## სათეატრო მოგონება

ძველი რეჟიმის დროს წარმოდგენის ნებართვის აღება ერთი უძნელესი საქმეთაგანი იყო სანთლით ეძებდენ მაზრის უფროსთან დაახლოვებულ ლამაზ ქალს, რომელსაც, ვერ გააწბილებდა მაზრის უფროსი...

აბა ჩვენ ახალგაზრდებს ვინ აგვიღებდა ნებართვას! ამიტომ მალულად ვდგამდით 14—15 წლის ყმაწვილები წარმოდგენას: ჩვენი რეჟისორი იყო ალ. წუწუნავა. მონაწილენი განსვენებული მისი და ევლინე, ვასო ურუშაძე (დღეს რეჟისორი ბათომში), ს. ხურციძე და სხვები.

აიხადა ფარდა, პიესა მიდის.. მამენელებით სავსეა „დარბაზი“ ამ დროს ვიღაცამ დაიძახა „სტრაჟნიკები მოდიანო“. ამის გაგონება და ჩვენი—„მსახიობების“ ჩქარივე 3 რიკებით ფანჯრებიდან გადახტომა ერთი იყო. ასე გადავრჩით „ვირის აბანოს“ და მთავრობის მიერ მოსალოდნელ სასტიკ სასჯელს. ოზურგეთის თეატრის საძირკვლის ჩამყრელად უნდა ჩაითვალოს ალ. წუწუნავა, მისი განსვენებული და ევლინა, ვ. ურუშაძე და ს. ხურციძე.

**ს.**

# ჰიუმორი

## რეცენზია

(მეგობრულად)

საკვირველი მაქვს მე ხასიათი:
ჩემს ბედს არა ვჯავრდები;
წინეთ, ქალ ლდი დამაქვს ილლიათი;
ერთ საქმეზე არა ვჩერდები.
აი, ახლაც გადავსწყვიტე გავხდე პოეტი.
ჩვენს დროში ეს ერთობ ადვილია.
სილამაზე, რითმა რა შვილია?
საკმარისია იცოდე, რომ რომ იტალიაში არის ეტნა.
ხომ დარწმუნებით, რომ მე რითმა მემორჩილება,
მაგრამ ვკარ მე მას პანღური.
მოვიჭერი და გადავაგდე ძველი ფარჩხალები;
რითმე ით დღეს სწერს მხოლოდ შევრაზმელი
და უგუნური.
მაშ მე ვიწყებ, დამიგდეთ ყური.
ერევნის მოედანი,
დღეს კი თავისუფლების.
თვითმართველობის შენობა.
მაღლა საათი.
ზევით ხანძარის საზვერავი.
იქ მუდამ კაცი მიდი-მოდის.
ქალაქს თავს დასჩერებია.
თუ ცეცხლი სადმე გაჩნდა,
ზარებს ჰკრავს,
ცეცხლის მქრობელ რაზმს აცყობინებს.
თამამშევის ქარვასლა.
მეხილე თათარი.
ვაშლი, მსხალი,
ნესვი, ჩირი.
რას ინატრებ სულო და გულო,
სულ აქ არი
ინა, ბასმა,
წვერს რომ იღ ბავენ მამაკაცები.
თეთრი მასკი ქალები.
აქ კი უნდა დავსვა წერტილი,
რომ არ დაგეკარგოთ ხალისი.
არც ისე შორს არის მარტვილი.
ჩემს პოემას სახელად ჰქვია ტფილისი.
გაგრძელება იქნება: რუსთველის პროსპექტი
ყვავილები, დუქნები, მაღაზიები.
შემდეგ დიდუბე, პლეხანოვის პროსპექტი.
რიყე, აბანო,
ქაბაბი, ტარო, დალაქი.
ასე მაქვს აწერილი
მთელი ქალაქი:
ქართველი, სომეხი, ქალები
და მათი კაბა-ჯუბანი.
ცალცალკე თავში გავმართე
ყველი ყუბანი.
ოცი წელიწადია ვემზადები, დავსწერო ლექსი:
„ecoutez moi“.
ამას ჰქვია როზალიას ყური.
ასეთი ყინვა ტფილისში
მე არ მახსოვს;
სულ ყველგან დაჰყინა
წყალს დენის მილები.
ვინცა სთქვა პოეტობისათვის
აღმაფრენაა საჭიროვო,
შტერია.
უნდა იცოდე მხოლოდ
მალაზიებზე
წარწერების წაკითხვა,—
ეს ყველაფერია!
ეს ლექსი რომ მე დღეს არ დამეწერა,
სამასი გომფეშო გასკდებოდა ჭეპზე.
თამამად შემიძლია დავიჩემო,
რომ არც ერთ ახალგაზრდა მგოსანს
მე არ ჩამჰკოუვარდები.
მე, ჩემი ცოლი და ჩემი სიდედრი
ხანდახან ცეკვაში დავდივართ.
როდესაც სახლში გვიან ვბრუნდებით,
თუ ვახშამი დაცვხდა,
ვჭამთ მადიანად.
როგორც აენობარპი,
რუსთაველზე დასეირობს
მელიტონ ბალანჩივაძე.
ერთად ვიხრჩობით
იმის ოპერა „თამარ ცბიერზე“.
მ პატიებს ტიციან ტაბიძე,
თუ მე მას მივბაძე
დღეს ჩემი რევოლიუციონერობა არავის სჯერა.
თუმცა მამაჩემი სულ მეჩხუბებოდა,
ნიკოლოზს რომ ეჭიდავები,
რა შენი საქმეაო.
მახსოვს ერთხელ როდესაც ბოქაული
ჩემს დასაჭერად მოვიდა,
მამა ჩემი სულ დაიბნა.
იმ დღეს ცხუქნი ინდაური ჩაასაცივა დედაჩემმა და
იმის ჭამაც კი არ დამცალდა.
რომ მომაგონდება,
ახლაც კი მწყდება გული.
მამა ჩემს კიდევ სჯერა ხატის.
მასთან ყოველთვის მივეხმე დადის
და სთხოვს იმ ფულებს,
ჩემი გამოზრდისათვის რომ ისესხა.
ჩემი დის გათხოვებას ჯე არა ვფიქრობ,
რა მეჩქარება?
ჩემ მეზობელს ჭირმა კამეჩი მოუკლა.
ბავშს ავტომობილმა გადაუარა.
რა მედარდება!
ჩვენში ბევრია ახირებული გვარი:
გროტი, ოხისჭირი, კროჭი.
მე კი სულ სხვა შეხედულებისა ვარ:
ყველაფერს მირჩევნია
შამფურზე შემწვარი გოჭი.
რას თიკიკინებთ, სადაური
სად მიაბიო?
მე დღეს ვარ პოეტი და ვბაძავ
რაცდენ გვეტაძის მდაბიოს.

**ივ. გომართელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალ. ყაზბეგი



ვ. გუნია

ტრ. რამიშვილი



ვ. შალიკაშვილი



შალვა დადიანი

## ვარიაცია

გამოვიცვალე. და სითამამემ
გრძნობის სადავე გასწყვიტა მარდად.
მე არ მაშინებს ცეცხლი და ღამე
და ვიწვი მუდამ ვით სალამანდრა.

სიტყვის სურნელი დამშრალ გონების
ტიალ მინდორზე ვერ გაიხარებს:
და როცა ხარბად შენ მეკონები—
ფრთხილად გიკეტავ ამ გულის კარებს.

იწვის ყაყაჩო ჩემს დანახვაზე
და ნარგიზს სცვივა გულიდან მტვერი.
მითხარი, როგორ გაგცვალო სხვაზე,
როცა ისედაც ბევრი გყავს მტერი!..

**მარ ჯან**



გრ. რობაქიძე



ბაბო ავალიშვილი

## ჩიტის სიმღერა

(მუშას)

პატარა ჩიტი მოვფრინდი,
ჩემი ქამანჩა სტვირითა.
უნდა სალამი მოგართვა
ჩემი ცოდვილი პირითა.

რად გინდა დიდი სიმდიდრე,
ან კიდევ ბევრი ფულია!
ყველაფერსა სჯობს ჯან-ღონე
და მერე—მთელი გულია.

მუშავ! ღარიბო, ღატაკო!
შრომაში ჩამოძონძილო!
დღეს-ხვალ შენც გაგითენდება,
გულს ნუ გაიტეხ, ძმობილო!

ახლა კი უნდა წავიდე,
შენს სახლკარს ჯვარი დავწერო
და ჩემი წკრიალა ხმითა
ახლა სხვის კარზედ დავმღერო.

**ბაჩანა**







ივ. გომართელი ნ. შიუკაშვილი პ. ირეთელი ს. ჭანტურიშვილი ნინო ნაკაშიძე

# ახალგაზრდათა ნაწერები

## ორი თარიღი

(75 წ. 15 წ ალსანიშნავად)

...მთელი სამაყით შეინძრა მსოფლიო...
ოცდახუთ წელს მიეგება თეთრი სამყარო...
ოცდა ოთხ წელს ფერიებმა ცეცხლი გაუჩინეს...
პირამიდებზე ავ'ულებმა გამართეს ზეიმი ..
ტარტაროზხმა დეკემბრის რიცხვებს ტრაური ჩაა-
ცვეს...
იანვრისათვის გაიშალა ხრიზ ნტემები...
ტყის ფერიებმა ატმოსფერაში გამართეს ცეკვა...
კიპაროსებიც მიესალმენ თაყვანისცემით...
ვულკანებმა ამოხეთქა ..
და მის ლავაზე ავსულებმა შექმნეს თამაში...
პირამიდები გამოაბეს ბეწვის ხიდებზე. .
... გაიმართა ზეიმი...
ახმაურდა მისალმებით გიჟი სამყარო. .
ზეიმს წინამძღოლობდა ხითხითით ინკუბუს...
დედოფლის ტახტზე იჯდა ლატავრა...
ირგვლივ შეკრებილ ცის ასულებს ხელში ეჭირათ
ცეცხლი ..
ცეცხლის ენები ხატავდენ რიცხვებს...
... სამოცი... ხუთმეტი ..
იყო ზეიმი ორი მხარესი ..
იუბილეი ქართულ თეატრის...
მეორე კი ჟურნალ..... ცხოვრების...
სადღეგრძელოთი ივსებოდა ოქროს თასები ლატავ-
რას ხელით..
მხოლოდ ინკუბუს იფერფლებოდა ცეცხლისა ალში .
და ფერიათა გუნდი ზეიმობდა ამ დიად დღესას-
წაულს ..

თამარ ცერი

## სულის მეგობრებს

დღეს ბევრს გვიღელავს პოეზიისთვის
ახალგაზრდული მხურვალე გული,
მაგრამ, ვინ იცის, თუ ვინ დარჩება:
განდიდებული, გამარჯვებული?!.

მე კი ამას გთხოვთ — თქვენ, ვინც იქნებით,
აშუქებული ყაზბეგის მთაზე,
რომ შეინახოთ სამი რამ წმინდად:
შრომა, ზნეობა და სილამაზე.

შალვა გიგაშვილი

## დეკემბრის ღამეში

ჩამოანათებს მთვარე—
ჩემ ბნელ ოთახში ისევ.
ყინვა ილვიძებს გარედ,
გათოშავს ჰაერს მკისვე.

ქალაქის ნისლი მიწას,
დაადნობს ცრემლის ღვრად
ვიგონებ სოფელს მძინარს,
ზაფხულის დროთა მარაგს.

ენთება ქუჩის პირი,
ნისლი ეცემა ქალაქს.
უბინო ქალი სტირის,
დაეძებს მყუდრო ალაგს.

ღამეს ლოდინი მოსავს,
დღეების ვერ ვსწრებ დათვლას,
ვგრძნობ დიდი ჩემი ლოცვის
თან გადაყვება საფლავს.

ო, ასე, ხდება მაშინ,
როს ლოდინია გრძელი.
ისევ სიცივე კარში.—
სარკმელს არ შრება ცრემლი.

გადაიხრება მთვარეც.
დაიბურება მიწა.
კითხვები ისევ მწარე.
საით ვივლით? ვინ ვარ?..

შ. გაჩეჩილაძე



იოსებ გედევანიშვილი
(სრ. საქართვ. ხელოვნების მთავარ საბჭ. პრეზიდ. თავმჯდომარე)

# საქმე, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა მოგვარდეს

IV

საქართველოს ყოველმა სოფელმა და დაბამ უნდა დააწესოს სახალხო სახლი.

იქ, სადაც უკვე არის ამისთვის საჭირო შენობა, ეს ადვილი საქმეა.

მაგრამ სადაც ჯერ კიდევ არა აქვთ შენობა, სულ ერთია, მაინც უნდა დაწესდეს სახალხო სახლი და მისი ორგანიზაცია, რომელიც იზრუნებს ამისათვის.

სახალხო სახლი—ტაძარია, რომლის კარი ღია უნდა იყოს ყველასათვის და ამიტომ მისი პატრონი და მზრუნველი თვით ხალხი უნდა იყოს.

ყოვლად მიუღებელია, რომ სახალხო სახლს ჰპატრონობდეს რომელიმე ჯგუფი, ან ისეთი ორგანიზაცია, რომელიც არ წარმოადგენს ამა თუ იმ სოფლის, ან დაბის მცხოვრებთა სრულ კრებას.

იგი, როგორც ეკლესია, მხოლოდ ხალხს ეკუთვნის და ყოველ სოფლის მკვიდრ მოქალაქეს, მასში შემავალს, ეკუთვნის უფლება ხმისა და უშუალო მონაწილეობისა.

ამის მიხედვით ყველა დაბა სოფლის მკვიდრმა მცხოვრებლებმა უნდა მოახდინონ საერთო ყრილობანი, სადაც მონაწილეობის უფლება ექნება ყველა სრულწლოვან მოქალაქეს, ქალსა თუ კაცს და ამ ყრილობებზე უნდა დააწესონ თავისი სახალხო სახლი.

მისი მოვლა-პატრონობა და მუშაობის გაძღოლა უნდა დაავალონ ამ ყრილობაზე არჩეულ გამგეობას.

გამგეობამ უნდა მოაწყოს დრამატიული წრე, მომღერალთა გუნდი, დამკვრელთა დასი, სახალხო მკითხველთა წრე და სხ. თვით ადგილობრივ მცხოვრებთაგან, რომელნიც ამ წრეებში და გუნდებში ისწავლიან, ივარჯიშებენ.

სახალხო სახლის კარები ყველასათვის ღია უნდა იყოს და წრეებში მონაწილეობა ყველას უნდა შეეძლოს, ვისაც ამისი უნარი აქვს და ამას ისურვებს.

ერთი სიტყვით, ეს უნდა იყოს საკუთარი სახლი, თავისი ოჯახი ყველასათვის, ვინც მის გარშემო სცხოვრობს და ვინც იგი დააწესა.

რა თქმა უნდა, რომ სახალხო სახლში შესვლა არ შეიძლება დაკავშირებული იყოს რაიმე გადასახადთან იქ მივა ხალხი, როგორც თავის სახლში, როგორც ეკლესიაში.

გარდა სახალხო სახლის შენობისა, აუცილებელია ყოველი სოფლისათვის სათემო მოედანიც; სადაც შესაძლებელია, რომ ეს მოედანი სახალხო სახლს ეკრას, უკეთესია, სადაც ეს არ მოხერხდება, იქ უნდა დაწესდეს ასეთი მოედანი სხვა ადგილას, თუნდა სოფლის გარეთაც.

ეს აუცილებელია იმ საერთო ყრილობებისა, ფიზიკური ვარჯიშობისა, სათემო დღეობისა და სხვათათვის, რომელთაც სოფლის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვთ.

ყველა ამის მოსაგვარებლად ხალხი თვით გამონახავს სად არის და არც არაფერს დაიშურებს, რადგან ეს საქმე მისი საკუთარი საქმეა, მისთვის აუცილებელი.

იტყვიან: მერე სად არის საჭირო ძალები, რომ სახალხო სახლში მუშაობა გასწიონ.

ეს ძალები თვით ხალხშია, თვითონ იგია ძალა და ამიტომ ხალხი თავის თავს თვითონ უპატრონებს. საჭიროა მხოლოდ, რომ მან სწორე გზა ნახოს და გაიგოს, თუ როგორ უნდა მოაგვაროს ესა თუ ის საქმე.

ჩვენი ქვეყნის მცხოვრებთა ცხრა მეათედს დაბა სოფლის მიწის მუშა ხალხი შეადგენს. ამ ხალხის წიაღიდან გამოდის ახლა ახალი თაობა მოწინავე მუშაკებისა. რატომ გაუჭირდება მათ მოუარონ თავის სახალხო სახლებს და შეიტანონ შიგ აზრი, ზნეობა და კულტურული ინტერესი!

სადაც კულტურულ მუშაობაში პირადი თაოსნობა თავისუფალია და პატივცემული, იქ საშიში არაფერია: ყველა დიდის ხალისით და თავდადებით ჩაებმება ასეთ საპატიო, სახალხო და საქვეყნო მუშაობაში.

მართალია, ადგილობრივი საშუალებებით ბევრის მიღწევა არ მოხერხდება. თუ არ მოხდა საქართველოს ყველა კუთხის სახალხო სახლების ორგანიზაციათა შეკავშირება სრულიად საქართველოს კავშირში, რომელიც შესძლებს იდეიური ხელმძღვანელობა გაუწიოს მათ მუშაობას ადგილობრივ, მიაწოდოს საჭირო ხელსაწყო და ლიტერატურა, აგრეთვე ინსტრუქტორები, ხელმძღვანელები და მასწავლებელნი.

იგივე ცენტრი მოახერხებს და მოაწყობს, რომ ქალაქებიდან დროგამოშვებით იარონ სოფლად მეცნიერებმა და მომხადებულმა ლექტორებმა და იკითხონ სახალხო სახლში შესაფერი ლექციები, როგორც ეს არის შვეიცარიაში.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამნაირად მოწყობილი სახალხო სახლის ორგანიზაცია საქართველოში დიდ როლს ითამაშებს ხალხის კულტურულ განვითარებაში და იგი გახდება მისთვის აუცილებელი დაწესებულება, რომელსაც დაუკავშირებს იგი თავის ჭირსა და ლხინს.

ჩვენი ვალია გავუადვილოთ ხალხს ამ საქმის განხორციელება, ჩვენ გვმართებს დროზე მივაწოდოთ მას ხმა ამის შესახებ.

ამისათვის აუცილებლად საჭიროა დაუყონებლივი მოწვევა სრულიად საქართველოს სახალხო სახლთა და დაბა-სოფლის თეატრის წარმომადგენელთა ყრილობისა, რომელმაც უნდა გასინჯოს ეს კითხვა და გამოიმუშაოს ზომები მის ცხოვრებაში გასატარებლად.

იმავე ყრილობამ უნდა ამთავითვე დააწესოს დროებითი ცენტრალური ბიურო, რომელიც ამ მუშაობას ხელმძღვანელობას გაუწევს.

როდესაც სახალხო სახლის ორგანიზაციები ჩამოყალიბდება საქართველოს დაბა-სოფლებში, მაშინ უნდა იქნეს მოწვეული სათანადო კონფერენცია, რათა საძირკველი ჩაეყაროს სრულიად საქართველოს სახალხო სახლთა კავშირს.

ის. ვარაზაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პროლეტარული თეატრი*)

I

სამოცდა ხუთმეტი წელიწადი შესრულდა, რაც ქართული თეატრი ჩაისახა.

მართალია დიდი რუსეთი ამ ახლო ხანებში მოსკოვის დიდი თეატრის ასი წლის იუბილეს გადაიხდის, მაგრამ ისეთი პატარა ერისთვის, როგორც ჩვენ ვართ, 75 წელიწადიც საგრძნობი მანძილია.

ამ ნირად ქართული თეატრის ისტორია საკმარისად არის შევერხლილი, თითქმის ძალზე მოხუცის სახესაც ატარებს, მაგრამ არასოდეს ჩვენი თეატრის პრობლემატიკა, მისი პერსპექტივების გათვალისწინება ისე ძნელი არ ყოფილა როგორც დღეს.

რას უნდა მიეწეროს ქართული თეატრის უალრესი კრიზისი?

ათასნაირი საზომით უდგებიან ამ საკითხის გამოცნობას.

ჩვენი თეატრალების ერთი ნაწილი ქართული თეატრის ბედიღბალს ევროპის ხელოვნებას უკავშირებს და გაიძახის: „ევროპის თეატრი კრიზისს განიცდის და ჩვენიც იმავე მდგომარეობაშია“-ო—მეორე ნაწილი კრიზისის მთავარ დამნაშავედ ქართულ დრამატურგიას ასახელებს.

ევროპის ხელოვნებაზე აღზრდილ ქართველ ინტელიგენციას ყოველ ფეხის გადადგმაზე ფუტურისტული სახეები და სხვადასხვა იზმები ელანდება; ასეთი ელემენტები ყოველთვის გამოდიოდა ქართულ სინამდვილის გარეშე და ჰაერში ჩამოკიდებული ყოველგვარ მოვლენას ევროპიულ ადლით ზომავდა.

ჩვენ პირდაპირ უნდა დავსვათ საკითხი.

ჰქონდა თუ არა 75 წ. ქართულ თეატრს რაიმე საერთო ევროპის შანტანურ ხელოვნებასთან?

გადაჭრით შეიძლება ითქვას: არავითარი.

ქართული თეატრი ამ ხნის განმავლობაში მიდიოდა თავისი საკუთარი ეროვნული გზით.

ევროპის თეატრმა, როგორც ჩვენს თეატრთან შედარებით ძველთა ძველმა, განვლო ყველა ეტაპები და დღეს კინემატოგრაფმა ის ისეთ ჩიხში მოამწყვდია, რომ გამოსვლა გაჭირდება.

ჩვენს თეატრს არ გაუვლია ყველა გზები, ჩვენი თეატრი 75 წლის არის, თეთრიც ბევრი გამოერია, მაგრამ ევროპის თეატრთან მაინც ახალგაზრდაა.

ამნაირად ქართული თეატრის ევროპის თეატრთან დაკავშირება დიდი შეცდომა იქნებოდა.

მაშ ჩვენი თეატრის დაავადმყოფება მარტო დრამატურგების ბრალია?

სრულებითაც არა.

არა და არა იმიტომ, რომ თვით ჩვენი დრამატურგებიც ავადმყოფობის პერიოდში იმყოფებიან.

ახალი დრამატურგია არ შექმნილა და ძველი კი ჯერ გონზე ვერ მოსულა.

რაშია საქმე?

1921 წლის თებერვალმა საქართველოს ცხოვრებაში ახალი სიო დაჰბერა.

ოქტომბრის ს ძლიერმა საფუძვლიანად შეარყია ჩვენი ქვეყნის როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური სიძველენი.

---

*) სადისკუსიოდ.







ა. შახშიაშვილი კ. შათირიშვილი ი. გულისაშვილი

---

სახელმწიფოებრივ უეცარ გარდაქმნას თან მოჰყვა ჩვენი კულტურის და კერძოთ ქართული თეატრის მაგარი ტეხილები.

ჩვენი ქვეყანა ახალ პრინციპებზე შენდება, თებერვალმა განდევნა პარლამენტარიზმი და მიიღო ახალი ფორმა მართვა-გამგეობისა.

საბჭოები და საბჭოთა სისტემა შეიქმნა ჩვენი ახალი სახელმწიფოს საძირკველი.

რამ გამოიწვია ჩვენი ხელოვნების კრიზისი და კერძოთ ქართული თეატრის?

ჩვენი ცხოვრების ახალ ყაიდაზე გარდაქმნამ.

——

დღეს საქართველოს ცენტრში სამი თეატრი მუშაობს. სამი ქართული დრამა მოღვაწეობს:

მარჯანიშვილის, დამსახურებულ მსახიობების ამხანაგობა და წითელი თეატრი.

ჩვენ ამ მოკლე წერილში აუცილებლად უნდა განვიხილოთ სამივე ცალ ცალკე და გავაცნოთ მდაბიო მკითხველს მათი მიზანი.

დავიწყოთ მარჯანიშვილის თეატრიდან.

ძალიან სიმპატიური პიროვნება არის კოტე მარჯანიშვილი, დიდი მხატვარი, ხელოვნების უღრესი მცოდნე, მაგრამ რა ვქნათ, რომ იმის თეატრს საქართველოს სინამდვილეში არა აქვს ნიადაგი.

„ყველაფერი ფორმისათვის“—ჩვენს თეატრს და მასის მოთხოვნილებებს ვერ დააკმაყოფილებს.

ყველა აძის მიუხედავათ ასეთი თეატრის არსებობა ჩვენ მაინც საჭიროთ მიგვაჩნია, მით უფრო იმიტომ, რომ იმედი გვაქვს კოტე მარჯანიშვილი ბოლოს მაინც დაუბრუნდება ქართულ სინამდვილეს და შექმნის თავისებურს, მაგრამ მაინც იდეურ თეატრს.

გადავიდეთ და სახურებულ მსახიობთა ამხანაგობაზე.

ამ დრამას საპატიო სახელები ამშვენებენ: ვასო აბაშიძე, ტასო აბაშიძე, ჩხეიძე, ჩერქეზიშვილი და სხვები.

ეს დრამა ნიადაგიანია. ქართულ სინამდვილეზე აღმოცენებული, მაგრამ აქ აუცილებლად ბრძოლაა ძველებსა და ახლებს შორის.

ჩვენი თეატრალური კრიზისის საბოლოვო ჩამოყალიბეაისათვის ამ დრამის არსებობაც აუცილებლად გამართლებულია.

ეხლა გადავდივართ წერილის მთავარ საგანზე, ეს გახლავსთ ქართული პროლეტარული თეატრის პრობლემა. რადგან პროლეტარული (იგივე ხალხური) თეატრი უფრო ვრცელ გაშუქებას მოითხოვს, ამიტომ ამაზე შემდეგ ნომერში.

შალვა გომართელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვ. გარრიკი

# წითელი თეატრი

**(ყოფილ ზუბალაშვილების სახალხო სახლში)**

როგორც სახალხო თეატრი შვილია ქართულ თეატრისა, ისევე წითელი თეატრი შექმნა ქართულმა სახალხო თეატრმა.

ქართული წარმოდგენების მართვა წითელი თეატრის სახით წელს 7 ნოემბერს დაიწყო, დათიკო კობახიძის რეჟისორობით. დაიდგა პიესა „დაჭკრის აჩრდილი ევროპაში“. პიესამ კარგად ჩაიარა. ეტყობოდა რეჟისორ დათიკო კობახიძეს გულდასმით უმუშავნია მასზე.

რეჟისორად მოწვეული არიან აგრეთვე წუწუნავა და ვახ. გარრიკი, მათ თანაშემწეთ და ქართულ სექტორის ადმინისტრატორად მსახიობი კოლა ჭანკვეტაძე.

როგორც ვსთქვით, წითელი თეატრი გაგრძელებაა სახალხო თეატრისა. თუ აქამდის სახალხო წარმოდგენების ბედი სავსებით მას მოლაწეთა კისერსა და ჯიბეზე იწვა, სამაგიეროდ წითელი თეატრი მთავრობის ხარჯზეა და მისგან უფრო მეტს უნდა მოველოდეთ.

დღეს წითელი თეატრი ხელმძღვანელია როგორც ქართულის, ისევე რუსულის, სომხურის, ოსურის, აისორულის, თათრულის და სხვა ენებზე გამართულ წარმოდგენებისა. მისი მთავარი ხელმძღვანელია ეგნატიევი, პასუხისმგებელი მდივანი ს. კანდელაკი.

ახალგაზრდა მსახიობებში ბევრი ნიჭიერია, რომელთაც საჭიროდ ებათ ფართო გზა.

საჭიროა ახალი რეპერტუარი, რომელიც უფრო ახლო იქნება ხალხის ცხოვრებასთან.

იანვრის 2 დიდებული დღეა. იგი ისტუმრებს წარსულს, იწყებს ახალს თუ მთელი დედამიწის პროლეტარიატი უნდა შეერთდეს ერთის წითელი დროშის ქვეშ, ამ საქმეში თეატრმაც უნდა გამოიჩინოს თვით მოქმედებითი უნარი.

ვ. ჯ.

# აღმოსავლური მუსიკა და ქართული თეატრი

ბოლო ხანებში ქართულ სცენაზე იდგმებოდა ე წ. აზიური ოპერეტები. მართლაც საკვირველი მოვლენაა: კლასიკურ პიესების შემდეგ ჩვენს საზოგადოებას უხდებოდა „არშინ მალ-ალანის“-თანა პიესების ყურება, რომლებიც უბრალო კრიტიკასაც კი ვერ გაუძლებენ, მაგრამ ხალხს კი იზიდავენ. ჩვენის გამორკვევით ეს „მიმზიდავი ძალა“ შემდეგშია:

ჩვენ რაც გინდ გავევროპიელდეთ, რაც გინდ შევითვისოთ ევროპის კულტურა საერთოდ და კერძოდ მუსიკაც, მაინც ძვირფასია კილო, რომელზედაც ნანას დაგვღეროდნენ და უფრო საგრძნობელია ცხრამთის იქით ყოფნის დროს ეს ჰანგები—მომაგონებელი კავკასიონის მთა ველებისა და ჩვენი გლეხი თავისი „ურმული“-თ. აი მიზეზი მიმზიდველი ხსენებულ „ოპერეტების“, სადაც სიმღერა, მუსიკა და ცეკვით ვტკბებოდით.

აღმოსავლურ მუსიკის ძალა კარგად ესმოდათ ჩვენს ძველ თეატრის მოღვაწეთაც.

აფიშებში, სხვათა შორის, აცხადებდნენ, რომ ანტრაქტებში ესა და ეს დასტა (მეტადრე ჰაზირას) დაუკრავსო, რომელთა ლექსებს ეტანებოდა მუშა ხალხი და ეს აშულ-მომღერლები ორნაირად ემსახურებოდნენ თეატრს: ჩვეულებრივ სიმღერების გარდა, ისინი მღეროდნენ იდეურ, პიესის შინაარსის შესაფერ ლექსებსაც და მით ავსებდნენ პიესის ნაკლს, რომელიც ცენზურის მიერ იკრძალებოდა.

დღეს ქართულ თეატრის არსებობის 75 წ. თავს აქ მოკლედ მოყვანილი სიტყვები, მის ისტორიის ფურცელზე უფრო ფართედ იქნება აღნუსხული.

საქართველოს ყოველ კუთხეს თავისებური კილო და სიმღერა აქვს, სადაც აღმოსავლეთისაც და დასავლეთისაც გრძნობთ. მათ შეგროვება და შემუშავება საჭიროა. ორივე ხსენებული ჰანგები დღეს „ხალხურად“ ცნობილი სათეატროდ უნდა იქცეს.

აღმოსავლური სალამი ქართულ თეატრის 75 წ. დღესასწაულს.

ალი ოღლი



ნ. ჭანკვეტაძე

# ორი სიტყა ქართულ მუსიკალურ მეცნიერებაზე

როცა შევეხებით საკითხს, თუ რა გაკეთებულა ქართულ მუსიკალურ მეცნიერების ირგვლივ, დავინახავთ, რომ ბევრი რამ დაწერილა მის შესახებ.

წარსულ საუკუნის 50 წლებიდან დღევანდლამდე განუწყვეტლივ გვხვდება წერილები ქართულ მუსიკის შესახებ. ყოველ შემთხვევაში, ვისაც ეს ინტერესება, ჩვენ მიუთითებთ დ. არაყიშვილის ბიბლიოგრაფიულ ნაწარმოებზე (I, II და III წიგ.) და მეტადრე წერილებზე „ქართული ხალხური მუსიკა 75 წ. განმავლობაში“, რომელიც იბეჭდება ჟურ. „ახალ კავკასიონ“-ში.

რაც შეეხება ქართულ ხალხურ მუსიკის მეცნიერულ დონეზე დაყენებას, ჩვენის აზრით, მისი დასაწყისი ეკუთნის მ. იპოლიტოვ ივანოვ, რომელმაც 1895 წ ქ. მოსკოვში ჟურ. „არტისტ“-ში (№ 45) მოათავსა წერილი ნოტების განმარტებით და ანალიზი გაუკეთა ქართულ მელოდიებს.

ასეთივე მაგალითებით წერილი დაბეჭდა კორეშჩენკომ 1898 წ ჟურ. „ეთნოგრაფიული მიმოხილვა“-ში № 1 სადაც ქართულ ხალხურ მუსიკის ცდაა მოხდენილი.

შემდეგ ასეთივე შრომა მიეძღვის ამ წერილის ავტორსაც, რომელიც დაბეჭდილი ზემოხსენებულ სამ წიგნში, სადაც გაშინჯულია გარდა სვანურ და თუშურ სიმღერებისა, ქართულ მუსიკის ყოველგვარი შტო. ყოველი ეს დაწერილა რუსულად; რაც შეეხება ქართულ ნაწარმოებს, თუ მხედველობაში მივიღებთ დ. არაყიშვილის წერილს („კავკასიონი“ 1—2, 3 4. 1924 წ), ეს მხოლოდ საქმის დასაწყისია ჩვენში. გარდა ამისა ჩვენ ვიცით, რომ ი. კარგარეთელს შედგენილი აქვს „მუსიკის ისტორია“, რომელიც ჯერ დაუბეჭდავია. კიდევ არის დ. არაყიშვილის ნაშრომი და გამოკვლევა სამხრეთ-ოსეთის ჰანგებისა და სხ.

გერმანელ ბჰაც მოგვაპყრეს ყურადღება: ქ შტუტგარდში 1920 წ. დაიბეჭდა დ. არაყიშვილის წერილი ჟურ. „Neue Music-Zeitung“ № № 7 და 21 (ახალი მუსიკალური გაზეთი) „Das qeorqiche volksied und die kultur der qeorgier“ (ქართული ეროვნული ჰანგები და ქართული კულტურა) სათაურით.

ასე რომ ჩვენი მუსიკალური მეცნიერება ნელ-ნელა წინ მიდის.

**დ. არაყიშვილი.**

# ქუთაისის თეატრის 1924-25 წ. სეზონი



**ივანე ბარველი**

შარშანდელი წლის სეზონის მიხედვით წელსაც ქუთაისის თეატრის სეზონს განაგებდა ადგილობრივი ალმასკომი ადგილობრივივე განათლების განყოფილების მეთაურობით.

დასის შედგენა და მსახიობებთან პირობის შეკვრა მინდობილი ჰქონდა ი. ზარდალიშვილს, რომელიც აგერ მეორე წელიწადია, რაც ქუთაისში ეწევა დასის გამგის თანამდებობას.

წლევანდელი სეზონისათვის დასი შარშანდელზე გაცილებით უფრო მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანია, დასის შემდგენლობა მუდმივი თანამშრომლებით აღემატება ორმოცდაათს კაცს; ასეთი მრავალრიცხოვანი დასი ჯერ-ჯერობით ქუთაისში არ ყოფილა. რეჟისორებად გამოცხადებული იყვნენ ივ. ბარველი, ვ. გუნია, ი. ზარდალიშვილი და ა. ყალაბეგიშვილი. ჩვენ ვამბობთ გამოცხადებული იყო, რადგან ფაქტიურად რეჟისორობდნენ და პიესებს სდგამდნენ მხოლოდ ივ. ბარველი და თვითონ ი. ზარდალიშვილი; ვ. გუნიას და ა. ყალაბეგიშვილის დადგმული პიესები, თითო-ოროლას გარდა, ჩვენ არ გვიხახავს.

სეზონი გაიხსნა 16 ოქტომბერს ალ შანშიაშვილის პიესა „ლატავრა“-თი, რომელმაც დიდძალი ხალხი შეკრიბა თეატრში. ეს იყო და ეს. ამის შემდეგ ქუთაისის თეატრს არ ღირსებია თავის დარბაზის ავსება.

ორ-ნახევარ თვის განმავლობაში, ესე იგი პირველ



**იუზა ზარდალიშვილი**
ჰამლეტის როლში.

იანვრამდე დადგმული იყო სულ 33 წარმოდგენა, რაიც მჭევრმეტყველურად ამტკიცებს დასის გარჯილობას და ბეჯით მუშაობას. მართალია პიესები მეორდებოდა, მაგალითად „ლატავრა“ დაიდგა 3-ჯერ, „ნათლული“ 3 ჯერ „სამანიშვილის დედინაცვალი“ სამჯერ, „რიჟრაჟი“ 3 ჯერ „მგლიმეში“ 2-ჯერ, „ყაჩაღები“ 2-ჯერ, „ურიელ აკოსტა“ 2 ჯერ, „ჰამლეტი“ 2 ჯერ, „კარგად შეკერილი ფრაკი“ 2 ჯერ, „მეფის დალაქი“ 2 ჯერ, „ქანდაკება“ 2 ჯერ და სხვა.

როგორც ზემოდ ვსთქვით, დასი მრავალფეროვანი იყო, მაგრამ მაინც ჯერ-ჯერობით დასის ზოგიერთ წევრს შემთხვევა არ ჰქონია თავი გამოეჩინა და სავსებით დაენახვებინა საზოგადოებისათვის თავის არტისტული უნარი. მომეტებულ შემთხვევაში წარმოდგენებში მუშაობენ ერთი და იგივე მსახიობნი. მათ შორის აღსანიშნავია თ. ლევხანიშვილის ქალი, ელენე ციმაკურიძე, ნ. ჩიხლაძე, შალვა ხონელი, შალვა ჯაფარიძე, ან. მურუსიძე, ა. ყალაბეგიშვილი, დ. ძნელაძე და თვითონ რეჟისორები ი. ზარდალიშვილი და ივ. ბაღველი, სხვები კი ნაკლებად გამოდიან სცენაზე; არ ვიცი რა მიზეზია? უცნაურია ან დასის შემადგენლობა რეპერტუარს ალემატება, ან არა და ის წევრნი ნაკლებ ღირსებისანი არიან.

ახ ლგაზრდებში ყურადღების ღირსნი არიან თ. ლევხანიშვილის ქალი, რომლის არტისტიული ტემპერამენტი ეჭვს გარეშეა და გარეგნობაც ხელს უწყობს მძლავრი როლებისათვის. მეტად კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს დ. ძნელაძე, ახალგაზრდა და სიმპატიური მსახიობი, რომელიც ერთნაირის ილით ასახიერებს დრამატიულსა და კომიკურ როლებს. არტისტიული ალღო იტყობა აგრეთვე ნ. ჩიხლაძის ქალს, მაგრამ ჯერ შესაფერ როლში არ გვინახავს. ელენე ციმაკურიძე უკვე გამორკვეული ძალაა და მისი ყოფნა დასში ყოველთვის სასურველი და საჭირო არის. ან. მურუსიძე დღითი დღე წარმატებასაკენ მიდის სიამოვნებით აღვნიშნავთ. შ. ჯაფარიძის და შ. ხონელის მუშაობას, ორთავეს ნიჭიც ეტყობათ და შრომის უნარიც, მაგრამ „კომიკური ძარღვი“ ძალდაუტ ნებლად იჩენს ხოლმე თავს სხვადასხვა სახასიათო როლებში. ი. ზარდალიშვილი გამოცდილი მსახიობია და მისი „ჰამლეტი“ და „ურიელი“ ერთგვარის, უკვე ნაცნობის, შთაბეჭდილებით არის გამოხატული. მის დადგმებში მოსაწონია „სამანიშვილის დედინაცვალი“, „მგლიმეში“ და „რიჟრაჟი“. ვ. ბაღველი სუსტი მსახიობია და როლების განსახიერებაში აკლია „ფხა“ და ამიტომ ყველა მის მიერ ნათამაშევი როლები „უფხოა“, იგი უფრო მძლავრი და დაკვირვებულია, როგორც რეჟისორი, თუმცა, სამწუხაროდ, ზოგჯერ აქაც მოიკოჭლებს როლების განაწილებაში. დიდი რამ არის რეჟისორობაში ეგ „განაწილება“. როლი ყოველთვის იმას უნდა მიეცეს, ვისაც ეკუთვნის და ერგება. ყოველ შემთხვევაში ივ. ბაღველი, როგორც რეჟისორი ფრიად სასიამოვნო მოვლენაა ქუთაისის სცენაზე თავისის მუყაითობით და სამაგალითო შრომის უნარით.

ძველი წლის დამლევი გაახალისა და გაამხიარულა ტფილისიდან ჩამოსულმა ჩვენმა ნიჭიერმა ნიკო გოცირიძემ. ითამაშა „ხანუმა“-ში, „ტარტიუფში“ და „მსხვერპლში“ და ერთ სცენა „დავაში“. ყველგან შეუდარებელი

იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, მის გასტროლებს ხალხი ნაკლებ დაესწრო. ალბად დიდი თოვლისა და ყინვის ბრალია.

საზოგადოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ წელს ხალხი ნაკლებ ესწრება წარმოდგენებს, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენები თვალსაჩინოდ არის მომზადებული და უნაკლოდ სრულდება.

ბენდო.





დ. აწყურელი, ეფ. კლდიაშვილისა, ა. იმედაშვილი



დავით ჩხეიძე

სახელმწიფო აკადემიური დრამის გამგე.



ანტონ ლითანიშვილი

სახალხო თეატრის მსახიობი, პლეხანოვის (ნაძალადევის) თეატრის ქართული დასის ერთი რეჟისორ-ხელმძღვანელთაგან.

# ვინ არის ბრმა მოხუცი?

თელავის ქუჩებზე ხშირად შეხვდებით ერთ ბრმა მოხუცს, რომელიც დაჰყავთ ნათესავებს ან მახლობელ მეგობრებს. მოხუცის კოხტა ტანის მოყვანილობა და სახის ახალგაზრდული გამომეტყველება, ძალაუნებურად იპყრობს თქვენს ყურადღებას.

ვინ არის ეს მოხუცი?!

ჩვენი პროვინციის სცენის სიმშვენე სიამაყე დათიკო აწყურელი (გამყრელიძე), რომელსაც ორმოცი წელი უმოღვაწნია ქართულ სცენაზე როგორც პროვინციაში, ისე დიდ ქალაქებში: ტფილის, ბაქო და სხ. აწყურელის სახელის გაგონება სიამოვნების გრძნობას იწვევს ყველა მათში, ვისაც კი ერთხელ მაინც უნახავს მისი მომხიბლავი თამაში სცენაზე. დღეს კი, განსაკუთრებით, თელავის სცენა დაობლებულია ჩისი უსინათლობის გამო. ოდესღაც ჩვენი სცენის არწივი ამჟამად უკიდურეს გაჭირვებას განიცდის და სამადლოთ ერთ ნათესავთან არის შეხიზნული ცოლშვილით. არ ვიცით, რამ აიძულა, რომ ეს დამსახურებული, ხალხის საყვარელი მოღვაწე თავის სახლ კარსა და სამშობლო სოფ. აწყურს გამოსცილოდა და სამადლოდ ჩავარდნილიყო.

იმედია ყურადღება მიექცევა ვისგანაც ჯერ არს და დათიკო დაუბრუნდება თავის საყვარელ სოფელს, თავის კერას, სადაც იგი აღზრდილა, რომ მან მოხუცებულობის დროს მშვიდათ გაატაროს უკანასკნელი დღეები თავის სიცოცხლისა. ჩვენ უნდა ვიცოდეთ პატივისცემა და დაფასება ძველი მოღვაწეებისა, მით უმეტეს, რომ დღევანდელი ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს ხელოვნებას და სცდილობს დააყენოს იგი სათანადო სიმაღლეზე ღირსეულ ადამიანს ღირსეული დაფასება უნდა!..

სოსო მაჭავარიანი.

# ბიბლიოგრაფიული შენიშვნები

არ. ჯაჯანაშვილი.

სიამოვნებით გადავიკითხე არ. ჯაჯანაშვილის კრებული.

არ. ჯაჯანაშვილი, ვიდრე მისი კრებული გამოვიდოდა, ცნობილი იყო ინტიმიურ მეგობართა ლიტერატურულ წრეში, როგორც დრამატურგი და ბელეტრისტიც.

მე მახსოვს მისი პირველი რომანი: „გრძნობათა ბურუსში“, რომელიც „სახალხო გაზეთში“ ფელეტონებად იბეჭდებოდა, და ამავე გაზეთის დამატებებში ავერჩენკოს სტილით პატარ-პატარა იუმორისტიული ნოველები.

არის მწერალი, რომელიც მორცხვად იმზირება, სწერს თავისთვის და თავისი ნაფიქრ ნაგრძნობი იშვიათად გამოაქვს საქვეყნოზე. შეიძლება ეს იყოს ნაკლი არ. ჯაჯანაშვილისა. ჩვენი ავტორის ნიჭს შეეძლო უფრო თამამად მოეშვა სადავე თავის მერანისთვის და არ ჩამორჩენოდა ქართული ლიტერატურის კორიფეებს.

არ. ჯაჯანაშვილის ენა სადაა და ჯანსაღი, არც ერთი მომეტებული ფრაზა, არც ერთი მოგრძო სტრიქონი! მისი ენა მაგონებს მშვენიერ გზატკეცილს, რომელსაც შეჰყევხარ სურნელოვან ტყეში. მკითხველი ისვენებს, ყველაფერი მისთვის გასაგები ხდება.

როცა კითხულობთ მის მოთხრობებს ძალაუნებურად უახლოვდებით ავტორს.. ლამაზ შტრიხებში მოცემული ფსიხოლოგიური განცდები გადადის მკითხველში და ანალოგიურად გრძნობს პერსონაჟების პულსაციას.

არ. ჯაჯანაშვილს არ აკლია იუმორი, მაგრამ ყველაფერში ზომიერია და ყაირათიანი.

მისი პიესები არ არის დატვირთული აყირავებულ სტრიქონებით. ყოველი მომქმედი პირი ჩვენი ცხოვრების ნატეხია. ასეთია მისი: „გაწყვეტილი სიმი“ და „ქანდაკება“... ეს ორი პიესა ტფილისის ქართულ სცენაზედაც გვინახავს... მაგრამ წაკითხვის დროს უფრო კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს.

ჩემის აზრით, არ. ჯაჯანაშვილი, უფრო ძლიერი და თავისებურია მოთხრობებში „დაკარგული სილუეტები“ და „მაცდური“ წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს...

წიგნი გამოცემულია მშვენივრად და სადათ. გამოცემა ეკუთვნის ძველ მწიგნობარ ალ. არაბიძეს. შეიცავს 232 გვერდს და ღირს 1—50 კ.

ეს წიგნი ღირსია იმისა, რომ ქართული ლიტერატურის მოყვარულის მაგიდას ამშვენებდეს.

P. S. კარგი იქნებოდა არ. ჯაჯანაშვილის კრებული ორ ტომად გამოსულიყო: პიესები ცალკე და მოთხრობები ცალკე, მით უმეტეს, რომ ამ კრებულში ყველა მოთხრობა არ არის შესული.

—ჯან-გრი—



ბ. ახოსპირელი (ბეგლარიძე)

მგოსანი და ნიამაგდარი მოკარნახე.



# ივანე მჭედლიშვილი

(35 წ მოღვაწეობის გამო)

დაიბადა 1870 წ. მარტის 30. სწავლობდა სასულიერო სასწავლებელში, მერე ტახნიკუმში. ბავშვობიდანვე მონაწილეობდა შინაურ წარმოდგენებში ჩოლურეთში. მასთან ერთად მონაწილეობდენ ანდ. ადამიძე, გ. კანდელაკი, გრ. და როსე თოიძენი, ვაშაკიძე და სხვ. პირველათ დიდ სცენაზე შედიდა „ვასილევის" ბალში (მიხეილის პრ.). შემდეგ ალ. ნაბიერიძეს დასში (ოლგას ქ. სადაც ახლა მელიქ აზარიანცის დიდი შენობაა), აქედან ქართ. დრამ. საზ. დასში, აქ მსახურებდა ოც წლამდე დანარჩენი თავისი მოღვაწეობა მოანდომა პროვინციას: ქართლკახეთში, იმერეთში, სუხუმ ოჩემჩირეში. თითქმის ყველა დაბა-ქალაქში გაუმართავს წარმოდგენები ასრულებდა ყველა ფეროვან როლს. მესხიშვილის დროს ასრულებდა თვალსაჩინო როლებს („ყაჩაღებში"—კარლოს, „სამშობლოში"—ლევანს, „ჰამლეტში"—ლაერტს, „ურიელ აკოსტაში"—მანასეს, „ხანუმაში"—კნიაზს, მიკიჩას და აკოფას, „ციმბირელში"—პეტუას და სხვ.) საზოგადოების ყურადღებას იქცევდა. ხშირად დაჰყავდა პროვინციებში საუკეთესო მსახიობები.

1897 წ. დაარსა ქართული საერო მომღერალთა გუნდი ალ. კავსაძეს ლოტბარობით. ეს გუნდი ორჯერ მოატარა სოხუმიდამ ბაქომდე ყველა დაბა-ქალაქში და კონცერტები გამართა. (მეორე მოგზაურობის დროს გუნდში მონაწილეობდა ვანო სარაჯიშვილიც. ეს იყო ვანო სარაჯიშვილის მოღვაწეობის პირველი საფეხური). მონაწილეობდა მწერლობაშიაც. სწერდა მოთხრობა ამბებს და პიესებსა მათ შორის აქვს პიესა „ყაჩაღი ქარიმა" (გათარგმნილია თათრულ ენაზე და ხშირად იდგმება ტფილისის და ბაქოს სცენებზე).

ვანომ თავის მოღვაწეობასთან ერთად მოგვცა ორი მსახიობ ქალი ნინო ნინონი და ილენე სიბილა.

1925 წ. სამშაბათს იანვრის 13, ქართველ მსახიობთა და მწერლების ერთი ჯგუფი რუსთაველის თეატრში უმართავს 35 წ. მოღვაწეობის აღსანიშნავ საღამოს. საღამოს მეთაურობენ ნინო დავითაშვილი, ელო ანდრონიკაშვილი, პ. ირეთელი, გ. ქუჩიშვილი და შიო მღვიმელი.

იმედია საზოგადოება შესაფერად დაუფასებს ნაშრომს.

ი—ელი

# საჭირო განმარტება

პასუხად მოქ. მარიამ ორახელაშვილის წერილისა: „საქმეს უნდა დაუხლოვდეთ" (გაზ. „კომუნისტი" № 296).

„თ. და ცხ." № 18 მოთავსებულ ჩვენი ბიბლიოგრაფიული შენიშვნების გამო თქვენ გვისაყვედურებთ, ვითომც „ჩვენი წერილის შემდეგ მკითხველს ექნება უარყოფითი წარმოდგენა ჩვენს საბავშო წიგნების გამომცემლობაზე"-ო (იგულისხმება სახელმწიფო გამომცემლობა), ვითომც ჩვენ ვამბობდეთ, რომ „ერთი ორი კაცი მუშაობდეს ამ საქმეზე", რომ „მარტო ორი წიგნის გამოცემით ამოიწურება საბავშო წიგნების გამომცემლობის საქმიანობა", ვითომც „წიგნების გავრცელების საქმესაც ვუწუნებდით, როდესაც ვამბობთ, რომ ეხლანდელი ბავშვობა ვერ სარგებლობს წიგნებით ისე, როგორც საჭიროაო" და სხ. დარწმუნებული ვართ, რომ ქვემოყვანილ ჩვენი განმარტების შემდეგ საყვედურს იდგილი აღარ ექნება, ვინაიდან იგი არის შედეგი მხოლოდ გაუგებრობისა.

მთავარი აზრი ჩვენი წერილის იმ ნაწილისა, რომელიც შეეხება საბავშო წიგნების გამომცემლობას, პირდაპირ და მკაფიოდ არის ნათქვამი: „საჭიროა საზოგადოებამაც (მიაქციეთ ყურადღება ამ სიტყვის დაბოლოებას) გაანძრიოს ხელი", ესე იგი მიიღოს მონაწილეობა საბავშო წიგნების გამოცემაში, ვინაიდან ვეუბნებით მას: **„არ შეიძლება ყველა წიგნების გამოცემა მოვახვიოთ თავზე სახელმწიფო გამომცემლობას, რომელიც ისედაც დატვირთულია აუარებელი საქმეებით"**.

თანამედროვე, ახალ სკოლაში ჩვენ ვსცდილობთ მივაჩვიოთ ბავშვი პატარაობიდან საკუთარ ინიციატივას, უნარიანობას, თვითმოქმედებას, საკუთარ ძალებზე დაყრდნობას; ხოლო ასეთ მიმართულებას ვაძლევთ ბავშვის აღზრდას იმ მიზნით, რასაკვირველია, რომ მოზარდმა თაობამ შემდეგ ცხოვრებაშიაც გამოიჩინოს მეტი აქტივობა. ამის და მიხედვით ჩვენც მოვუწოდებდით საზოგადოებას საქმიანობისკენ.

ჩვენი სიტყვები „ერთი-ორი ადამიანის მუშაობა საბავშო წიგნების გამოცემაზე ვერას გახდებაო" ნათქვამია მაშინ, როდესაც ლაპარაკია არა სახელმწიფო გამომცემლობაზე, არამედ კერძო პირზე, მოქ. ან. წერეთლისაზე, რომელიც ცდილობს შექმნას საბავშვო წიგნების გამომცემელი პატარა წრე. ამავე წრეს შეეხება ჩემი სიტყვებიც: „უკვე გამოსცეს ორი წიგნი" და არა სახელმწიფო გამომცემლობას, რომლის შესახებ კიდეც რომ მეთქვა, არავინ დაიჯერებდა, დანაშაულათ გვითვლით შემდეგ ჩვენ სიტყვებსაც. „ეხლანდელი ბავშვები წიგნებით

ვერ სარგებლობენ ისე, როგორც საჭიროა“, რადგან იფიქრეთ, რომ ვითომც ამით ვიწუნებდეთ წიგნების გავრცელების საქმესაც. ასეთი დასკვნაც, დარწმუნებული ვართ, გამოწვეულია გაუგებრობით. აღნიშნული სიტყვები აი რის შესახებ გვაქვს ნათქვამი: წარსული წლების „ჯეჯილ“-ის ნაკლულებში“, ვამბობთ ჩვენ: „ბოლომდე მოიპოება საკითხავი მასალა, რომელიც დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენს სკოლას, ხელ-ახლა რომ გამოსულიყო პატარ-პატარა წიგნაკებად; ეხლანდელი ბავშობა კი მათით, ჟურნალების წინა გამოცემებით. ვერ სარგებლობს ისე, როგორც სასურველია“. განსხვავება, როგორც ხედავთ, დიდია.

სასურველია, რა თქმა უნდა, სახელმწიფო გამომცემლობამ თვითმოქმედება უფრო გაადიეროს, საქმეში ჩაითრიოს ჩვენი ინტელიგენცია და შეთანხმებულის ძალით სასურველ დონეზე დააყენოს ეს დიდი საქმე.

X

# სათეატრო მიმოხილვა

**ჩოხატაურის თეატრში** პირველად წარმოდგენა დაიდგა 1902 წ. კაცია ჟღენტის შვილების მეთაურობით, ადგილობრივ ერთ კლასიან ხის შენობაში.

ამის შემდეგ დროგამოშვებით იდგმებოდა წარმოდგენები. მონაწილეობდენ: ნინა ჭანიშვილი, მარგარიტა ცინცაძე-თავართქილაძე, ვენერა ცინცაძე, ნინა სურგულაძე, გოგოლა შარაშიძე, თამარა კალანდაძე, კოლ. ჟღენტი, სერგო ბოლქვაძე (რეჟისორი), ლადო ღამბაშიძე, დები ნამეტია და ინაიდა ბერძნიშვილები, გრ. კობიძე, ირაკლი გოგორაძე, ნიკო ენუქიძე, ალ. ბარბაქაძე, პასიკო ბერძენიშვილი და სხვები.

შენობის უქონლობის გამო წარმოდგენები იმართებოდა უმთავრესათ სკოლის შენობაში და დიდ ფართე დუქნებშიც...

1909 წ. ჩოხატაურში პატარა წიგნის მაღაზია გახსნა სილ. თავართქილაძემ, რომლის გარშემო შემოკრბა ადგილობრივი ინტელიგენცია, დაარსეს უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველო პირველად მისივე—ს. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში, ხოლო შემდეგ შეგროვილი ფულებით ააგეს საკმაოთ მოზრდილი თეატრი 1911 წ., რომ ლშიაც მოთავსებულია დღეს უფასო სამკითხველო და სასოფლო ბანკი.

ხსენებულ თეატრის აგებაში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა აგრეთვე გრიგოლ თავდგირიძე.

ამ თეატრში ითამაშა განსვენებულმა ალექსი-მესხიშვილმა, რომელსაც დიდი ზეიმით გადაუხადეს 30 წ. იუბილე. ამ ბოლო დროს სისტემატიურად იდგმებოდა წარმოდგენები განსვენებული ნიკოლოზ სიხარულიძის (კ. გურიელი) რეჟისორობით.

ხალხი თავიდან ალმაცერად უყურებდა თეატრს; მოთამაშეებს „კომედიაჩიკებს“ ეძახდა, მაგრამ დღეს სულ სხვა თვალით უცქერის მას და იცის, რომ თეატრი განათლების ტაძარია და საუკეთესო ცხოვრების სარკე.

ს.

---

**ოზურგეთში თეატრი** დიდი ხანია არსებობს, მაგრამ მისი მოუწყობლობის გამო რიგიანი პიესების დადგმა შეუძლებელი იყო. ზამთარში ხომ შეუძლებელი ხდებოდა რაიმე პიესის დადგმა ძლიერი სიცივის გამო. წელს ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიაქცია ყურადღება, გაიღო სათანადო თანხა და თეატრი შეკეთებულ იქნა. საუცხოვოდ მოწყობილია სცენა და დარბაზი. წარმოდგენების დროს თბება ფარდა, დეკორაციები და სხვა მხატვრობა საგანგებოთ და ლამაზათ შესრულებულია მხატვრების ჰაგინის და მალაზონიას მიერ. დღეს ჩვენს სცენაზე თამამად შეიძლება რთულ და მხატვრულ პიესების დადგმაც. მოწვეულია განახლებული დასი ადგილობრივ ძალებთან შეკავშირებით მსახიობ შალვა ბაქუაშვილის რეჟისორობით და ხელმძღვანელობით. დასში თანამშრომლობენ: ქ. ქ. ეს. გარნელი, გორდელი, ბაქუაშვილისა; ვაჟნი: შ. ბაქუაშვილი, ს. ამ. ხურციძე, ვ. სიმონიშვილი, ა. ღლონტი, აროშიძე; რეპერტუარი: „ციხის საიდუმლო“, „იმედის დაღუპვა“, „სტუმარ-მასპინძლობა“, „ოიდიპოს მეფე“, „სიმახინჯე“, „სამხედრო ბანაკში“, „სულელი“, „გუშინდელნი“, „გეგეჭკორი“, „№ 21 +“, „დანაშაული“ და სხ. სეზონი გაიხსნა „ციხის საიდუმლო“-თი. პიესის მხატვრულად დადგმამ და კარგათ თამაშმა დამსწრე საზოგადოებაზე საამო შთაბეჭდილება დასტოვა.

21 დეკემბერს დადგმულმა „სიმახინჯემ“ დაამტკიცა, რომ შ. ბაქუაშვილი ნამდვილი ხელოვანია, მასში არის ნიჭი და ენერგია, რითაც შესძლებს დაიმსახუროს მშრომელთა ნდობა და პატივისცემა.

ვალიაბეგ.

# წვრილი ამბები

**ჟურ. „თეატრ და ცხოვრება“** ს 15 წ. არსებობის შესრულების (იანვრის 2) გამო სხვადასხვა კუთხიდან მოდის მოსალოცი დეპეშები და წერილები. ყველა ეს დაიბეჭდება საიუბილეო ნომერში.

**საიუბილეო ნომერი ჟურ.** „თ. ც.“ ამ მოკლე ხანში გამოვა.

**შეცდომის გასწორება.** „თ. ღ.“ № 20 (23) წერილში „როგორ დაიკარგა ეგ. ნინოშვილი“ დასაწყისში დაბეჭდილია „1924 წ.“ უნდა იყოს: 1894 წ.

**დაიკარგა ხელთნაწერი პიესა „პატივისათვის“**, დრამა სამ მოქმედებად ლ. ბელმონტისა, თარგმანი ილია ფერაძისა. პიესაში გამოხატულია ინტელიგენტთა ცხოვრება. თვისი შინაარსით და მთავარი იდეით პიესა გმობს თანამედროვე ცრუმორწმუნეობას ქორწინების შესახებ. მასში ბრალმდებელის დახასიათება საუცხოვოდ გამოხატულია... პიესაში აქვს ადგილი აგრეთვე მდაბიო წრის შვილთა ცხოვრებასაც. მპოვნელს ვსთხოვთ „თ. და ც.“ რედაქციაში შემოიტანოს.

---

ხელმძღვანელი: კოლეგია.
რედაქტორ გამომცემელი: იოსებ იმედაშვილი.

სტამბა გაზეთ „ზარია ვასტოკა“-სი საშა წულ. ქ. № 4. ტირაჟი 1500 ც. | მთავლიტი № 2289.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სათეატრო კალენდარი

1924-25 წლის სეზონი

| თვე და რიცხვი | დღე | რუსთაველის თეატრი | საოპერო თეატრი | წითელი თეატრი | პლეხანოვის თეატრი | მუშათა ცენტრ. კლუბი |
|---|---|---|---|---|---|---|
| იანვარი. 4 | კვირა | ცხვრის წყარო | მასწ. ყრილობა | | ელეონორა | |
| 5 | ორშაბათი | | | | Юбилей Леонтиева | |
| 6 | სამშაბათი | უქმე დღე | უქმე დღე | | მოლაპარაკე კინო | |
| 7 | ოთხშაბათი | უქმე დღე | იმედის დაღუპვა | | აბესალომ და ეთერი | |
| 8 | ხუთშაბათი | გმირი | Демон. | | მოლაპარაკე კინო | |
| 9 | პარასკევი | ათრული | Пророк. | | პარტიული დღე | |
| 10 | შაბათი | მალშტრემ | | | ჩაროვის იუბილეი | |
| 11 | კვირა | მზის დაბნელება | | | დანგრეული კოშკი | |

# კინო-სურათი

# „ქარიშხალის წინა დღეებში"

## 8 ნაწილად.

საქართველოს სოც. უზრ. კომისარიატის გამოცემა

დადგმა **კოტე მარჯანიშვილის** დადგმა

**იანვრის 10-დან ნაჩვენები იქნება**

## კინო-თეატრ აისში

(ტფილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პირველ დარბაზში).

1—1